7403/3-30/21 2 14072021

7403/3-30/21
14-07-2021

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბ-ნ კახა კალაძეს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ შესაბამის კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია:

1. რა პირობით გადასცა მერიამ ლურჯი მიკროავტობუსები ტენდერში გამარჯებულ შპს ,,თბილისის მიკროავტობუსს“?
2. გთხოვთ მოგვაწოდოთ 2011 წლიდან შპს ,,თბილისის მიკროავტობუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ასევე თუ რაიმე ცვლილებები შევიდა, ახალი ხელშეკრულებების ასლებიც.
3. ევალებოდა თუ არა ხელშეკრულებით შპს ,,თბილისის მიკროავტობუსს“ ყვითელი მიკროავტობუსების ჩანაცვლება ახლით და თუ ეს ვალდეულება ჰქონდა კომპანიას და ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, რატომ შეიძინა მერიამ ახალი მიკრიავტობუსები კომპანიის მაგივრად? რატომ არ მოხდა ამ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და ახალი ტენდერის გამოცხადება?
4. ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა გეგმა აქვს მერიას და კომპანიას ე.წ ყვითელი მიკროავტობუსების არსებულ სამარშრუტო სქემაში დასაქმებულ და ჩართულ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც შეცვლილი სქემის გამო რჩებიან შემოსავლის გარეშე?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01212003365**
თარიღი: **19/07/2021**
პინი: **1027**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს გიორგი ვაშაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 15 ივლისს შემოსული თქვენი 2021 წლის 14 ივლისის №7403/3-30/21 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №02-012119619-01; 15.07.2021წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოში არსებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას/მთავრობას და შპს „თბილისის მიკროავტობუსს“ შორის არ გაფორმებულა ხელშეკრულება და შესაბამისად მოკლებული ვართ შესაძლებლობას თქვენს ზემოაღნიშნულ წერილში დასმულ კითხვებზე მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პატივისცემით,

ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი